

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მარტი ---- 2017 წელი

ქ. ოზურგეთი

დადგენილება №-----

**სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის
პროგრამის მომსახურების და საჯარო დაწესებულების
შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დაადგინა:

მუხლი 1

დამტკიცდეს „სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და საჯარო დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა“ (თან ერთვის).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

**სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის
პროგრამის მომსახურების და საჯარო დაწესებულების
შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

მუხლი 1. შიდა მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების განმარტება, ამოცანა, პრინციპები და მიზნები

შიდა მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების პროცესის პარალელურად, თავად საჯარო დაწესებულების მიერ და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის (შემდგომში სამსახურის) ანგარიშგებას „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში კანონი) აღებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

1. შიდა მონიტორინგის განმარტება და ამოცანა

ა) შიდა მონიტორინგი არის პროცესი, რომელიც ხორციელდება საჯარო წესებულების მიერ და მოიცავს ინფორმაციის რუტინულ მოგროვებას, აღრიცხვას იმის მისაღწევად, შესრულდა, თუ არა დაწესებულების მიერ სახელმწიფო სტანდარტებზე დაყრდნობით, საჯარო დაწესებულების მიერ შემუშავებული და მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ დამტკიცებული წლიური გეგმის ფარგლებში განსაზღვრული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების შესაბამისი საქმიანობები, პასუხისმგებლობები, ვალდებულებები;

ბ) ყოველთვიური მონიტორინგი არის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების პროცესის სტანდარტების შესაბამის ყოველთვიური მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს საჯარო დაწესებულების ადმინისტრაცია და ამზადებს რეკომენდაციებს შემდგომი თვისათვის საჭიროებებისა და გამოწვევების დასაძლევად;

გ) შუალედური მონიტორინგი არის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების დაწყებიდან შუალედურ ეტაპამდე ყოველთვიური მონიტორინგის შედეგების სინთეზი, განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროცესის მონიტორინგი (რა შესრულდა, რა ვერ სრულდება, რა მიზეზით და ა.შ.). დაწესებულების მიერ შუალედური მონიტორინგი სრულდება სამსახურის მიერ დაგეგმილ მონიტორინგამდე ორი კვირით ადრე და მომზადებული ანგარიშის წარდგენა ხდება სამსახურისათვის;

დ) წლიური მონიტორინგი არის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების წლის დასასრულს განხორციელებული მონიტორინგი. საჯარო დაწესებულებს მიერ წლიური მონიტორინგი სრულდება სამსახურის მიერ დაგეგმილ მონიტორინგამდე ორი კვირით ადრე და მომზადებული ანგარიშის წარდგენა ხდება სამსახურისათვის;

ე) მონიტორინგის უმთავრესი ამოცანა არის ცხადი მიზნებისა და არსებული რესურსების საუკეთესოდ გამოყენებით უზრუნველყოს ისეთი მომსახურება, რაც უფრო ეფექტიანად შეუწყობს ხელს ბავშვის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და ასაკის შესაბამის განვითარებას მისი მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში.

2. შეფასების განმარტება და ამოცანა

ა) შეფასება არის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მდგომარეობის დამოუკიდებელი და ობიექტური შესწავლა და ანალიზი, შემდგომში ბავშვისათვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მიღწევებისა და რეკომენდაციის განსაზღვრით. შეფასების უმთავრესი ამოცანაა დადგინდეს აღსაზრდელის მიღწევის პროგრესი, გაკეთდეს ანალიზი დადგენილი სტანდარტებიდან გამომდინარე, აღსაზრდელის განვითარების მიღწევებზე, მომსახურების გამოწვევებზე და საჭიროებებზე, მოხდეს დაწესებულების დამფუძნებლის

და სხვა რელევანტური უწყებებისათვის ინფორმაციისა და რეკომენდაციების განსაზღვრა მომსახურების გაუმჯობესებისა და ეფექტიანი მხარდაჭერის მიზნით;

ბ) პირველადი შეფასება არის სტანდარტების პირობებთან შესაბამისობის დადგენისათვის, საჯარო დაწესებულების მიერ სამსახურთან თანამშრომლობით საჯარო დაწესებულების მოცემულობის განსაზღვრა შემდგომში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების წლიური გეგმის და პრიორიტეტების სტრატეგიულად დაგეგმვის მიზნით;

გ) შემაჯამებელი შეფასება - 4 წელიწადში ერთხელ, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების პროგრესის შეფასება (პირველადთან შედარების პროგრესის დადგენა) კონკრეტულ საჯარო დაწესებულებაში.

3. ანგარიშების განმარტება და ამოცანა

ა) ანგარიშება - მონიტორინგის და შეფასების პროცესში შეგროვებული მონაცემებისა და ინფორმაციის წარდგენა ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება გადაწყვეტილებების მიმღებთა მიერ. ანგარიშების ამოცანაა შეგროვილი ინფორმაციის გათვალისწინებით დროულად მოხდეს რეაგირება და გადაიდგას ნაბიჯები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების გასაუმჯობესებლად;

ბ) საჯარო დაწესებულება ამზადებს სარეკომენდაციო ანგარიშს, რომელიც ასახავს მიღწევებს, საჭიროებებს, გამოწვევებს, სამსახურის ინფორმირების მიზნით;

გ) კერძო დაწესებულებების შემთხვევაში რეკომენდირებულია შიდა მონიტორინგის შედეგების კვარტალურად გაზიარება წარმატებული პრაქტიკის ან კერძო დაწესებულებებში გამოწვევების წარმოჩენის მიზნით.

4. შიდა მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშების პრინციპები

ა) მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშების პროცესში წარმოდგენილი ინფორმაცია არის გამოსადეგი და მნიშვნელოვანი, როგორც საჯარო დაწესებულებისათვის ასევე დამფუძნებლისათვის;

ბ) უზრუნველყოფის მიზნით მიღწევებისა და ჩავარდნების მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშება ხორციელდება ობიექტურად, გამჭვირვალედ და სამართლიანად ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მუდმივი გაუმჯობესების მიზნით;

გ) მონიტორინგისა და შეფასების მაჩვენებლები უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს, რომელთა მიღწევის მონიტორინგი უნდა მოახდინოს სამსახურმა საჯარო დაწესებულების საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად პირველადი შეფასების შედეგების გათვალისწინებით და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად.

5. შიდა მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშების მიზნები

ა) გამოვლინდეს საჯარო დაწესებულების მიერ კანონის შესაბამისად და სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრული პირობების შესრულების მიღწევები;

ბ) გამოვლინდეს საჯარო დაწესებულების მიერ კანონის შესაბამისად და სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრული პირობების შესრულების ჩავარდნები;

გ) უზრუნველყოფილ იქნას საჯარო დაწესებულების დროული და მიზნობრივი მხარდაჭერა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების გაუმჯობესებისათვის;

დ) დაგროვდეს სანდო და ვალიდური ინფორმაცია იმ გავლენის (impact) შესახებ, რასაც სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურება და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდება იძლევა;

ე) დაგროვდეს სანდო და ვალიდური ინფორმაცია, რომელიც წარმოაჩენს სტანდარტებით განსაზღვრული პირობების განხორციელებადობას (feasibility) არსებული რესურსების გათვალისწინებით;

ვ) დაგროვდეს სანდრო და ვალიდური ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებული იქნება სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების საჭირო ფინანსური სახსრების განსაზღვრისას;

ზ) დაგროვდეს ინფორმაცია წარმატებული პრაქტიკის შესახებ კონკრეტული საჯარო დაწესებულებების მაგალითზე (findings), რასაც გამოიყენებს სახელმწიფო სტანდარტების გადახედვისა და გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 2. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების შიდა მონიტორინგის პროცედურები

1. მონიტორინგი ხორციელდება საჯარო დაწესებულების მიერ ყოველთვიურად - ყოველთვიური მონიტორინგი და ყოველწლიურად (წელიწადში 2-ჯერ) - შუალედური მონიტორინგი და წლიური მონიტორინგი;

2. საჯარო დაწესებულება ახორციელებს შიდა მონიტორინგს დამტკიცებული გეგმისა და პირველადი შეფასების შედეგების გათვალისწინებით;

3. მონიტორინგის განხორციელებისას საჯარო დაწესებულება იყენებს მონიტორინგის მეთოდებს: დაკვირვება, გასაუბრება, ჩექლისტი, რომელიც ეყრდნობა სახელმწიფო სტანდარტების მაჩვენებლებს და იქმნება თავად საჯარო დაწესებულების მიერ.

მუხლი 3. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების შეფასების პროცედურები

1. საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული შეფასების პროცესი არის სამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული შეფასების პროცესის გამოყოფილი ნაწილი, რაც საჯარო დაწესებულების მიერ თვითშეფასებით და შესაბამისი ანგარიშის წარდგენით გამოიხატება. აღნიშნული პროცესი ხორციელდება 4 წელიწადში ერთხელ სამსახურთან თანამშრომლობით. პირველ წელს ხორციელდება პირველადი შეფასება, მე-4 წელს შემაჯამებელი შეფასება. საჯარო დაწესებულება ახორციელებს მხოლოდ სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასებას და წარმომადგენლობითად არის ჩართული ბავშვის განვითარების სწავლისა და განვითარების პროგრესის შეფასების - სკრინინგის პროცესში;

2. შეფასების პროცესში საჯარო დაწესებულებას წვლილი შეაქვს შეფასების მეთოდების შექმნაში: დაკვირვება, გასაუბრება, ჩექლისტი ბავშვის განვითარების სწავლისა და განვითარების პროგრესის შეფასება-სკრინინგი;

3. საჯარო დაწესებულება თანამშრომლობს სამსახურთან შეფასების პროცესის თანმიმდევრულად, შეუფერხებლად და მოქმედებს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპით.

მუხლი 4. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების ანგარიშგების პროცედურები

1. საჯარო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებას და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდებას ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს სამსახურს მონიტორინგის განხორციელებამდე 2 კვირით ადრე წარუდგინოს როგორც შუალედური, ასევე წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს შიდა მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, ელექტრონული ფორმით. შიდა მონიტორინგისა და შეფასების ფორმას ამტკიცებს საკრებულო შესაბამისი ნორმატიული აქტით;

2. დაწესებულება უფლებამოსილია მიიღოს სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის და/ან შეფასების შედეგები.

მუხლი 5. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების სათანადო მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი

1. დაწესებულების მიერ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების სათანადო მონიტორინგზე, შეფასებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია საჯარო დაწესებულების ადმინისტრაცია;

2. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია მოიწვიოს საჭირო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც დაეხმარება და კონსულტაციას დაწესებულებას ხარისხიანი მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების დაგეგმვა-შესრულებაში.

განმარტებითი ბარათი

„სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და საჯარო დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

2. პროექტის ავტორები: გამგებლის მოადგილეები - არჩილ ყაზაიშვილი, გიორგი ღურჯუმელიძე. საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი;

ა.ბ) „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებასაღებებს წარმოადგენს „მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) პროექტით განისაზღვრება სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და საჯარო დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა“;

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2017 წლის 29 მარტი.